ბრძანება:**ბ12. 122421414**

თარიღი:**01/08/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობების (შავი ლითონის ჯართი) უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულების, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის Nგ-13.13241513 განკარგულების, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებისა და „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის Nგ-13.13241512 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობების (შავი ლითონის ჯართი) - 17 ერთეული მაცივრის (მაცივარი MK-202, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-4010, მაცივარი SIBIRI, მაცივარი SV-300, მაცივარი LG GR-151-SF, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-204, მაცივარი LG GR-151-SF, მაცივარი MK-142,მაცივარი LG GR-151-SF, მაცივარი LG GR-151-SF), პრივატიზებასთან დაკავშირებით;

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობების (შავი ლითონის ჯართი) - 17 ერთეული მაცივრის (მაცივარი MK-202, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-4010, მაცივარი SIBIRI, მაცივარი SV-300, მაცივარი LG GR-151-SF, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-142, მაცივარი MK-204, მაცივარი LG GR-151-SF, მაცივარი MK-142,მაცივარი LG GR-151-SF, მაცივარი LG GR-151-SF)), საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 636,00 (ექვსას ოცდა თექვსმეტი) ლარის ოდენობით, შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტის“ 2024 წლის 22 მაისის N239 აუდიტორული

დასკვნის თანახმად;

3. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია „ბე“ განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

4. ბიჯი განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

5. განისაზღვროს უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი: 2024 წლის 02 აგვისტოს 16:00 საათიდან - 2024 წლის 12 აგვისტოს 16:30 საათამდე;

6. უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

7. უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში გაფორმდეს მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება;

8. უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება;

9. თანხა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: „ხაზინის ერთიანი ანგარიში“

   მიმღები ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა“

   ბანკის კოდი: TRESGE22

   სახაზინო კოდი: 300883288

10. უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკურმა სამსახურმა წინამდებარე ბრძანების განთავსება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას;

11. უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო მოძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის განთავსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე www.akhaltsikhe.gov.ge;

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

ირაკლი ლაზარაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი